სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/51

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართების იჯარით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2024 წლის 22 ოქტომბრის №0001363976 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე უნივერსიტეტის III-IV სასწავლო კორპუსებში არსებული შემდეგი არასაცხოვრებელი ფართების იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ:
   ა) 535 კვ/მ შენობა, მდებარე ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, III, IV სასწავლო კორპუსი, ცოკოლის სართული და მიმდებარედ არსებული 464,2 კვ/მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი;
   ბ) 405,86 კვ/მ (ანტრესოლი 100 კვ.მ), მიწა 311,7 კვ/მ. მდებარე ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, IV სასწავლო კორპუსი, ცოკოლის სართული;
   გ) 268,3 კვ/მ და 270,3 კვ/მ მიწა, მდებარე ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, IV სასწავლო კორპუსი, ცოკოლის სართული.
2. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის პერიოდი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**